ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4510337

ნომერი: AR1677304

თარიღი : 23.04.2019

გაცემის თარიღი : 22.05.2019

გაცნობის თარიღი : 22.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი იუმაშევი , N 51-ის მიმდებარედ (ნაკვ. 003/031);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნაზიბროლა მაღრაძე პ/ნ 01013002603
- თბილისი ვარკეთილი 3 II მ/რ კორ. 28 ბ. 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მარტის №4422936 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 23 აპრილს №AR1677304 განცხადებით მომართა ნაზიბროლა მაღრაძემ. განმცხადებელმა მოითხოვა ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მარტის №4422936 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 20 მარტის №4422936 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ჩიხი იუმაშევი, N51-ის მიმდებარედ (ნაკვ. 003/031) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.15.003.115), საწყობის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 20 მარტიდან 2020 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

სამსახურის 2019 წლის 20 მარტის №4422936 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია ,,საქართველოში შპს მგს-ის წარმომადგენლობა'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205168539).

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: N 882019269492 - 11/04/2019; მომზადების თარიღი: 17/04/2019 15:13:07) ქალაქ თბილისში, იუმაშევის ჩიხი, N51-ის მიმდებარედ №01.19.15.003.115 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,მგს-ს საქართველოს ფილიალი''. (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205168539).

წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი განმარტავს, რომ შეიცვალა ორგანიზაციის დასახელება და აღნიშნულიდან, გამომდინარე სურს 2019 წლის 20 მარტის №4422936 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს ,,მგს-ს საქართველოს ფილიალი''-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს პარვიზ ნაჯაფოვი. 2019 წლის 23 აპრილის №AR1677304 განცხადებაზე წარმოდგენილია პარვიზ ნაჯაფოვის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული 2019 წლის 01 მაისის მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით წარმოადგენს შპს ,,მგს-ს საქართველოს ფილიალი''. (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205168539), სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მარტის №4422936 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,მგს-ს საქართველოს ფილიალი''. (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205168539).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მარტის №4422936 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 20 მარტის №4422936 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.